შეჯიბრება "სსრკ თასზე"

11 აგვისტოს 5 საათია. ფეხბურთით დაინტერესებული მაყურებლები მიიჩქარიან ლ. პ. ბერიას სახელობის სტადიონზე, **როსტოვისა და თბილისის "დინამოს'** ოსტატ ფეხბურთელთა მატჩის სანახავად.

აღნიშნულ გუნდთა შეჯიბრება საბჭოთა კავშირის პირველობაზე, რომელიც ჩატარდა როსტოვში, დამთავრდა ფრედ – 1:1, ამიტომ მათი შეხვედრა "სსრკ თასზე" ამ დღეს სპორტულად დიდ ინტერესს იწვევდა.

დაიწყო თამაში. თბილისის "დინამოს" თავდამსხმელები სწრაფი იერიშით შეიჭრნენ მოწინააღმდეგეთა საჯარიმო მოედანზე და გააჩაღეს მწვავე ბრძოლა. მეორე წუთის დასაწყისში გავაშელის მიერ მოწოდებული ბურთი უნაკლოდ გამოიყენა პაიჭაძემ – ოსტატური "დრიბლინგებით" გაუსხლტა "მოწინააღმდეგეთა" ნახევარდამცველებს და სნაიპერული გარტყმით, დაახლოებით 25 მეტრიდან გაგზავნა ის კარის მარჯვენა კუთხისაკენ. მეკარე აივაზოვი ამაოდ შეეცადა მოულოდნელი ბურთის აღებას და ირხევა როსტოველთა კარის ბადე – 1:0.

სტუმრებმა პირველი ბურთის გატანას მათ კარში მწყობრი იერიშით უპასუხეს. კარგად თამაშობს მათი თავდასხმის ხუთეული, კერძოდ კი შუამარბი – ბეხტენევი, ამ უკანასკნელმა მე-7 წუთზე მარცხენა ფრთიდან მიღებული ბურთი ყუმბარისებური გარტყმით გაგზავნა კარის მარცხენა კუთხისაკენ, თითქოს უდავო გოლია, მაგრამ მეკარე დოროხოვმა აიღო "მკვდარი" ბურთი. თამაში კვლავ როსტოველებს მიჰყავთ, თბილისელთა კარი მე-11 წუთზე მეორეჯერ გადარჩა პირველი ბურთისაგან.

მე-14 წუთზე მარჯვენა ფრთიდან მიღებულ ბურთს, აფრიდონიძე სუსტი დარტყმით აგზავნის სტუმართა კარში. მეკარე აივაზოვს, რომელიც ამ დღეს სუსტად თამაშობდა მოულოდნელად ხელიდან გაუვარდა ბურთი, მას მიუსწრო კვლავ აფრიდონიძემ და გაადიდა ანგარიში თბილისელთა სასარგებლოდ – 2:0. ტაიმის დასასრულს – მე-42 წუთზე აფრიდონიძესაგან მიღებულ ბურთს შეუჩერებლივ და იშვიათი სილამაზით ათავსებს როსტოვის ბადეში პაიჭაძე – 3:0 თბილისელთა სასარგებლოდ. ასეთი ანგარიშით დამთავრდა პირველი ტაიმი.

მეორე ტაიმში თბილისელები მოდუნებით იბრძვიან. როსტოველები კი მეტი ენერგიით. მე-4 წუთზე არათავისუფალი საჯარიმო გარტყმით მარჯვენა დამცველს გააქვს პირველი ბურთი თბილისის "დინამოს" კარში. რამდენიმე წუთის შემდეგ როსტოველები ადიდებენ ანგარიშს, ხოლო მე-17 წუთზე, სტუმართა მეკარე მეოთხე ბურთს ღებულობს. მატჩი დამთავრდა თბილისის "დინამოს" გამარჯვებით – ანგარიშით 4:2.

ამრიგად როსტოვის "დინამო" გამოვიდა "სსრკ თასის" გათამაშების მწყობრიდან.

ვ. გ-ლია.
"მუშა", 14 აგვისტო, 1938 წ.